



## განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმა (2013-2018)



## შინაარსი

პრეამბულა .....	4
<b>I. სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების ძირითადი საფუძვლები, წინაპირობები, მიზნები და ამოცანები.....</b>	<b>4</b>
მისია .....	4
განვითარების სტრატეგიული გეგმა.....	4
განვითარების სტრატეგიული გეგმის მიზნები .....	5
განვითარების სტრატეგიული გეგმის ამოცანები .....	5
<b>II. ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების განვითარების სტრატეგიული გეგმები.....</b>	<b>6</b>
1) საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარების პროგრამა .....	6
2) სამეცნიერო და ინოვაციური საქმიანობის განვითარების პროგრამა .....	8
3) სოციალური და აღმზრდელობითი საქმიანობის განვითარების პროგრამა .....	10
4) საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების განვითარების პროგრამა.....	13
5) საერთაშორისო თანამშრომლობის პროგრამა .....	15
6) განათლების ხარისხის მენეჯმენტის სისტემის განვითარების პროგრამა.....	16
7) მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების პროგრამა .....	19
8) PR – საქმიანობის განვითარების პროგრამა .....	20
<b>III. განვითარების სტრატეგიული გეგმის შესრულების ძირითადი მოსალოდნელი შედეგები .....</b>	<b>23</b>
<b>IV. განვითარების სტრატეგიული გეგმის შესრულების მართვა.....</b>	<b>24</b>

### პრეამბულა

1. წინამდებარე განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმა განსაზღვრავს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის განვითარების მიმართულებებს და მისი გათვალისწინება სავალდებულოა სასწავლო უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურული ერთეულისათვის;
2. წინამდებარე დოკუმენტი:
  1. შემუშავებულია ბნსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ;
  2. დამტკიცებულია ბნსუ-ის პარტნიორთა კრების მიერ მიერ;
  3. ძალაში შედის დამტკიცებისთანავე.
3. დოკუმენტში ცვლილებები მუშავდება და შედის საჭიროებისამებრ ან/და იმ ნორმატიული დოკუმენტების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლის საფუძველზეც შემუშავდა ეს დებულება;
4. წინამდებარე დებულება ვრცელდება ბნსუ-ის შემდეგ დოკუმენტებზე:
  1. სტრუქტურული ერთეულების დებულებები;
  2. პერსონალის თანამდებობრივი ინსტრუქციები;
5. წინამდებარე დებულების აღრიცხული ეგზემპლარები ინახება:
  1. ბნსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან - კანცლერთან;
  2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში.
6. დებულების ნორმატიული საფუძველი:
  1. საერთაშორისო სტანდარტი ISO 9001:2008 ხარისხის მენეჯმენტის სისტემები - მოთხოვნები; 15.11.2008;
  2. საერთაშორისო სტანდარტი ISO 9000:2005 ხარისხის მენეჯმენტის სისტემა; ლექსიკონი.15.09.2005;
  3. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ;
  4. ნდ №2-010101-სასწავლო უნივერსიტეტის წესდება;
  5. ნდ №2-020101- სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის სახელმძღვანელო;
  6. ნდ №2-020101-01 სასწავლო უნივერსიტეტში შიგა ნორმატიული დოკუმენტების დამუშავებისა და მოქმედების უზრუნველყოფის პროცედურა;
  7. ნდ №2-020101-02 სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობაში გამოყენებადი მოქმედი დოკუმენტების და ფორმების კლასიფიკაციისა და იდენტიფიკაციის პროცედურა.

### ბნსუ-ში მოქმედი შემოკლებები და განმარტებები

- ISO** - სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია;
- ხს** - ხარისხის სისტემა;
- ECTS** - კრედიტებისა ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა;
- სდ** - საინფორმაციო დოკუმენტი;
- სსა** - საქართველოს საზღვაო ადმინისტრაცია;

**ნორმატიული დოკუმენტი** - დოკუმენტი, რომელიც ადგენს სხვადასხვა საქმიანობის წესს, საერთო პრინციპებსა და დახასიათებას და ეხება სხვადასხვა საქმიანობის სახეებს და მათ შედეგებს;

**თანამდებობრივი ინსტრუქცია** - ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს, თანამდებობაზე დანიშნული მუშაკის კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნებს, მოვალეობებს, ფლებებსა და პასუხისმგებლობას;

**სტრუქტურული ერთეულის დებულება** - ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სტრუქტურული ერთეულის სტატუსს, საქმიანობის უბანს ან მიმართულებას, ქვედანაყოფის ამოცანებსა და ფუნქციებს, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის დანიშვნის წესსა და მის თანამდებობრივ ინსტრუქციას;

**აღრიცხული ეგზემპლარი** - დოკუმენტი, რომელსაც გააჩნია სააღრიცხვო ნომერი აღრიცხული ეგზემპლარების სიის მიხედვით;

**სტუდენტი** - პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე;

**მაგისტრანტი** - პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე;

**პროფესიული სტუდენტი** - პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;

**საგანმანათლებლო პროგრამა** - საბაკალავრო, სამაგისტრო, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

**უსდ/სდ** - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება/საგანმანათლებლო დაწესებულება;

**ბნსუ ან სასწავლო უნივერსიტეტი** - შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი“.

**I. ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების ძირითადი საფუძვლები, წინაპირობები, მიზნები და ამოცანები**

**მისია, მიზნები და ამოცანები**

„ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი“ მისია სასწავლო უნივერსიტეტში თანამედროვე საგანმანათლებლო გარემოს ჩამოყალიბება, მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის ხელშეწყობის უზრუნველყოფა, პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლების მიღების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმების შესაბამისად საგანმანათლებლო პროცესის წარმართვა და მუდმივი სრულყოფა, განათლების სფეროში მოქმედი კანონმდებლობის და შრომის ბაზრის მოთხოვნათა გათვალისწინებით აკადემიური უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება და თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი აკადემიური უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, საქართველოს და საერთაშორისო განათლებისა და შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადება, რომლებსაც ექნებათ პიროვნული, მოქალაქეობრივი და სოციალური პასუხისმგებლობა, პროფესიონალური ვალდებულებების შესრულების, ეთიკური ნორმების დაცვის, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების გაზიარების, კომპეტენციების და კვალიფიკაციის მუდმივი სრულყოფისა და პროფესიონალური განვითარების მოტივაცია, პრაქტიკულ და საზოგადოებრივ საქმიანობაში თავისი კომპეტენციების, ცოდნისა და უნარების სრული რეალიზაციისა და კარიერული წინსვლის შესაძლებლობა წარმატებული საზოგადოებრივი და პროფესიული საქმიანობის შედეგად.

სასწავლო უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე დასახულია სასწავლო უნივერსიტეტის **მიზნები**:

- იმ ღონისძიებათა კომპლექსის შესრულების უზრუნველყოფა, რომელიც შეეხება საზღვაო ტრანსპორტის, ლოჯისტიკის და სხვა სფეროში კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება „უმაღლესი განათლების შესახებ“, „პროფესიული განათლების შესახებ“, „მეზღვაურთა მომზადების და დიპლომირების შესახებ“ საქართველოს კანონების, მეზღვაურთა მომზადების და ვახტაზე დგომის საერთაშორისო კონვენციის (STCW-95), საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და სხვა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტაცია, რომლებიც აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის;
- პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლების მიღების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება;
- პიროვნული პოტენციალის რეალიზება, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე სპეციალისტის ახალი თაობის მომზადება, შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, სტუდენტთა და ფართო საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისი მაღალი ხარისხის აკადემიური უმაღლესი და პროფესიული განათლების შეთავაზება;
- სტუდენტთა შემოქმედების, თვითგამოვლენის და ინიციატივების ხელშეწყობა;
- სტუდენტთა პიროვნული განვითარების და მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის მოტივაციის ჩამოყალიბების ხელშეწყობა;

სასწავლო უნივერსიტეტის მისიის წარმატებით განხორციელებისათვის შესასრულებელია **ძირითადი ამოცანები**:

- სრულფასოვანი და თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა;
- განათლების ხარისხის შესაბამისობის უზრუნველყოფა განათლების სფეროში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2008 მოთხოვნათა შესაბამისად;
- წამყვან საზღვაო სასწავლო დაწესებულებებთან და მსოფლიოს სანაოსნო და საკრუინგო კომპანიებთან საქმიანი ურთიერთობების შენარჩუნება და განვითარება
- საქართველოს კანონმდებლობის, საერთაშორისო კონვენციის STCW-95 და სხვა საერთაშორისო კონვენციების მოთხოვნების შესაბამისად საქმიანობის წარმართვა;
- საზღვაო სპეციალისტების სწავლებისა და ტრენინგული მომზადების/გადამზადების მომსახურების შესრულების ხარისხობრივი პარამეტრების შუშავება;
- საზღვაო ტრანსპორტის სპეციალისტების მომზადებისა და დიპლომირების მიზნით პარტნიორებისთვის და მომსახურების შემკვეთებისთვის მენეჯმენტის მაღალი სტანდარტების დანერგვაში დახმარების გაწევა;
- მმართველობითი გადაწყვეტილებების ოპტიმიზაცია;
- სწავლის და სწავლების ხარისხის მენეჯმენტის სისტემის განვითარება;
- საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო პროცესის მონიტორინგის სისტემის განვითარება;
- სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურისა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები დახვეწა;
- თანამშრომლებისთვის სამუშაო სათანადო პირობებისა და მატერიალური სტიმულირების სისტემის სრულყოფა;
- საგანმანათლებლო პროცესების თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა;
- მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვა და მათი ჩართვა საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროცესებში;
- საზოგადოებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო პროგრამების მომზადება და რეალიზაცია, მუდმივი ზრუნვა მათი განახლებისათვის;
- საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისი აკადემიური უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება;
- სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის ხელშეწყობა;
- პრაქტიკული საქმიანობისთვის უკეთ მომზადების მიზნით პრაქტიკის ორგანიზების და განხორციელების კონტროლის სრულყოფა;
- კურსდამთავრებულებთან კავშირების დამყარება და მათი ჩართვა საუნივერსიტეტო საზოგადოების ცხოვრებაში და სხვ.
- სტუდენტთა პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებისა და გამოცდილების მიღების მიზნით მჭიდრო კავშირების დამყარება ცალკეულ საწარმოებთან, ფირმებთან და ოერგანიზაციებთან, დარგიც სპეციალისტებთან და მეცნიერებთან.

### განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმა

წინამდებარე განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმა (შემდგომში - სტრატეგიული გეგმა) შემუშავებულია ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - სასწავლო უნივერსიტეტის) მისიის შესაბამისად და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა საფუძველზე. სტრატეგიული გეგმა აერთიანებს სასწავლო უნივერსიტეტის განვითარების ძირითად მიმართულებებს:

- სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტების ინტელექტუალური და კულტურული განვითარების უზრუნველყოფა;
- სასწავლო უნივერსიტეტის ინოვაციური განვითარება ობიექტურად განპირობებული, მიზანმიმართული, შეუქცევადი, რაციონალურად დაგეგმილი პროცესების შედეგად;
- სასწავლო უნივერსიტეტის ინოვაციური განვითარება სისტემის ხარისხობრივი ცვლილებების შედეგად, რის წინაპირობას და საფუძველს წარმოადგენს ის ინოვაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ სასწავლო უნივერსიტეტის ოპტიმალურ და მდგრად განვითარებას.

დღეისათვის სასწავლო უნივერსიტეტი არის თანამედროვე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელსაც აქვს თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (მათ შორის, თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით და მოწყობილობებით აღჭურვილი სასწავლო კორპუსი, ბიბლიოთეკა და სხვ.), ჰყავს მაღალკვალიფიციური პერსონალი – აკადემიური პერსონალი, მოწვეული სპეციალისტები, მასწავლებლები და სხვ. სასწავლო უნივერსიტეტს აქვს სათანადოდ აღჭურვილი ბიბლიოთეკა, რომელიც აერთიანებს სასწავლო, სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურის ფონდებს.

თუ ადრე სასწავლო უნივერსიტეტს შეეძლო წარმატებული ფუნქციონირება საკუთარი შიდა პოტენციალის რაციონალური გამოყენების შედეგად, თანამედროვე პირობებში დადგას სასწავლო უნივერსიტეტის ფუნქციონირების რეჟიმიდან განვითარების რეჟიმში გადასვლის აუცილებლობა.

სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო პოტენციალის არსებული მდგომარეობა, საქმიანობის აპრობირებული გამოცდილება და სასწავლო უნივერსიტეტის ფართო კავშირები მიმართულია სასწავლო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა მაღალპროფესიული დონის მიღწევაზე, მათი სამოქალაქო და ზნეობრივი თვითშეგნების ჩამოყალიბება-განვითარებაზე, რაც ასევე საფუძველს უქმნის სასწავლო უნივერსიტეტის შემდგომ მდგრად განვითარებას.

### განვითარების სტრატეგიული გეგმის მიზნები

- სასწავლო უნივერსიტეტის ფორმირება მსოფლიო დონის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებად, რომელიც უზრუნველყოფს თანამედროვე განათლების მქონე კადრების მდგრად მომზადებას, რაც ხდება მეცნიერების, საგანმანათლებლო და ინოვაციური საქმიანობის ინტეგრაციის საფუძველზე;
- სასწავლო უნივერსიტეტის ინტეგრირება საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში;
- სასწავლო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროცესის ორიენტაცია მსოფლიო დონის ინოვაციების გათვალისწინებასა და დანერგვაზე;

### განვითარების სტრატეგიული გეგმის ამოცანები

- სპეციალისტების მომზადება მიზნობრიობის, სპეციალობა/სპეციალიზაციაზე ორიენტირებულობის და შერჩევითობის პრინციპების გათვალისწინებით და თანამედროვე, ინოვაციური საგანმანათლებლო მეთოდოლოგიების დანერგვით;
- სასწავლო უნივერსიტეტში განათლების ხარისხის მენეჯმენტის დახვეწა, საქართველოში მოქმედ და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- სასწავლო უნივერსიტეტში განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ეფექტურობის ამაღლება;
- ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის გარეშე განათლების მიღების თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპის უზრუნველყოფა;
- ცოდნის გავრცელება და პიროვნების ინტელექტუალური, კულტურული და ზნეობრივი განვითარების მოთხოვნილების დაკმაყოფილება;
- სტუდენტებში სამოქალაქო პოზიციის, თანამედროვე ცივილიზაციის და დემოკრატიის პირობებში შრომის და ცხოვრების უნარის ჩამოყალიბება-განვითარება;
- სასწავლო უნივერსიტეტის კორპორატიული კულტურის და საკადრო პოტენციალის განვითარება.

სასწავლო უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმის რეალიზაცია მიმართულია ახალი ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულების შექმნაზე და მის ერთიან საგანმანათლებლო, სამეცნიერო, ინოვაციურ და ინფორმაციულ კომპლქსად ჩამოყალიბებაზე.

განვითარების სტრატეგიული გეგმის შესრულება მოხდება ორ ეტაპად:

- I ეტაპი (2013-2015 წწ.) - ძირითადი ამოცანაა სასწავლო უნივერსიტეტის განვითარების სისტემის შექმნა, ადამიანური, მატერიალური, ფინანსური და საინფორმაციო რესურსების კონცენტრაციის საფუძველზე სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობის შინაარსობრივი, მეთოდოლოგიური, საორგანიზაციო და სამეცნიერო სფეროების სრულყოფა და თანამედროვე კონკურენტუნარიანი ინოვაციური ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება;
- II ეტაპი (2016-2018 წწ.) - ძირითადი ამოცანაა სასწავლო უნივერსიტეტის, როგორც წარმატებული საგანმანათლებლო დაწესებულების, ჩამოყალიბების დასრულება, რაც უზრუნველყოფს სასწავლო უნივერსიტეტის მისიის რეალიზებას და სასწავლო უნივერსიტეტის მდგრად განვითარებას.

## II. ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების განვითარების სტრატეგიული გეგმები

სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმაში მოიაზრება სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების განვითარების პროგრამები:

### 1. საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარების პროგრამა

#### **პროგრამის დაგეგმილი შედეგი**

სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიუმი უმაღლესი და პროფესიული განათლების სისტემის სრულყოფა, რაც უზრუნველყოფს მისი თვისობრივი მაჩვენებლების ზრდას სასწავლო პროცესის ორგანიზებაში თანამედროვე მიღწევების ინტეგრაციისა და ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვის გზით. ახალი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება.

#### **პროგრამის რეალიზაციის რესურსებით უზრუნველყოფა**

- ფინანსური რესურსები;
- ადამიანური რესურსები;
- მატერიალურ-ტექნიკური რესურსები.

### 2) სამეცნიერო საქმიანობის განვითარების პროგრამა

#### **პროგრამის დაგეგმილი შედეგი**

სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტების და საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პირების პოტენციალის რეალიზება; სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარება და სამეცნიერო (მათ შორის, საერთაშორისო) თანამშრომლობის გაფართოება; საერთაშორისო სამეცნიერო თანამეგობრობაში ინტეგრირება.

#### **პროგრამის რესურსებით უზრუნველყოფა**

- ფინანსური რესურსები;
- ადამიანური რესურსები;
- მატერიალურ-ტექნიკური რესურსები.

### 3) სოციალური და აღმზრდელობითი საქმიანობის განვითარების პროგრამა

#### **პროგრამის დაგეგმილი შედეგი**

ზნეობრივი, სამოქალაქო-პატრიოტული თვითშეგნების, ცხოვრების ჯანსაღი წესის, სტუდენტთა, პროფესიულ სტუდენტთა და თანამშრომელთა შემეცნებითი და შემოქმედებითი აქტივობების მხარდაჭერა.

#### **პროგრამის რესურსებით უზრუნველყოფა**

- ფინანსური რესურსები;
- ადამიანური რესურსები;
- მატერიალურ-ტექნიკური რესურსები.

### 4) საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების განვითარების პროგრამა

#### **პროგრამის დაგეგმილი შედეგი**

საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის ხარისხის გაზრდა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების შედეგად. მართვის ელ.სისტემის ამუშავება.

#### **პროგრამის რესურსებით უზრუნველყოფა**

- ფინანსური რესურსები;
- ადამიანური რესურსები;
- მატერიალურ-ტექნიკური რესურსები.

### 5) საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების პროგრამა

#### **პროგრამის დაგეგმილი შედეგი**

სასწავლო უნივერსიტეტში ეფექტური საგანმანათლებლო საქმიანობის უზრუნველყოფა და საერთაშორისო სამეცნიერო და საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაცია.

#### **პროგრამის რესურსებით უზრუნველყოფა:**

- ფინანსური რესურსები;
- ადამიანური რესურსები;
- მატერიალურ-ტექნიკური რესურსები.

### 6) განათლების ხარისხის მენეჯმენტის სისტემის განვითარების პროგრამა

#### **პროგრამის დაგეგმილი შედეგი**

სასწავლო პროცესის და განათლების ხარისხის უზრუნველყოფა ისეთი სისტემის მეშვეობით, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხის გაუმჯობესების მუდმივად მიმდინარე პროცესების, ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობას და სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

#### **პროგრამის რესურსებით უზრუნველყოფა**

- ფინანსური რესურსები;
- საკადრო რესურსები;
- მატერიალურ-ტექნიკური რესურსები.

**7) მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების პროგრამა**

**პროგრამის დაგეგმილი შედეგი**

საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება და სრულყოფა; საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით სასწავლო პროცესის მატერიალურ-რეკონსტრუქციული უზრუნველყოფა.

**პროგრამის რესურსებით უზრუნველყოფა**

- ფინანსური რესურსები;
- ადამიანური რესურსები;
- მატერიალურ-ტექნიკური რესურსები.

**8) PR – საქმიანობის განვითარების პროგრამა**

**პროგრამის დაგეგმილი შედეგი**

სასწავლო უნივერსიტეტის შესახებ სრული, მრავალფეროვანი და სანდო ინფორმაციის შექმნა და გავრცელება; სასწავლო უნივერსიტეტის დადებითი იმიჯის შექმნა და გაძლიერება; სასწავლო უნივერსიტეტის შესახებ დაინტერესებული მხარეების ინფორმირება და სასწავლო უნივერსიტეტის მიმართ ინტერესის ფორმირება აბიტურიენტებისა და საზოგადოების მხრიდან.

**პროგრამის რესურსებით უზრუნველყოფა**

- ფინანსური რესურსები;
- ადამიანური რესურსები;
- მატერიალურ-ტექნიკური რესურსები.

განვითარების პროგრამები	2013	2014	2015	2016	2017	2018
	I ეტაპი			II ეტაპი		
<b>საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარების პროგრამა</b> აკადემიური უმაღლესი და პროფესიული განათლების სისტემის სრულყოფა	+	+	+	+	+	+
ახალი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება.	+					
<b>სამეცნიერო საქმიანობის განვითარების პროგრამა</b> სტუდენტების და საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პირების პოტენციალის რეალიზება; სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარება და სამეცნიერო (მათ შორის, საერთაშორისო) თანამშრომლობის გაფართოება; საერთაშორისო სამეცნიერო თანამეგობრობაში ინტეგრირება	+	+	+	+	+	+
<b>სოციალური და ადმინისტრაციული საქმიანობის განვითარების პროგრამა</b> ზნეობრივი, სამოქალაქო-პატრიოტული თვითშეგნების, ცხოვრების ჯანსაღი წესის, სტუდენტთა, პროფესიულ სტუდენტთა და თანამშრომელთა შემეცნებითი, შემოქმედებითი, სხვ. აქტივობების მხარდაჭერა.	+	+	+	+	+	+
<b>საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემების გამოყენების განვითარების პროგრამა</b> საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის ხარისხის გაზრდა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების შედეგად.	+	+	+	+	+	+
სასწავლო პროცესის და მართვის ელ.სისტემის ამოქმედება.					+	
<b>საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების პროგრამა</b> ეფექტური საგანმანათლებლო საქმიანობის უზრუნველყოფა და საერთაშორისო სამეცნიერო და საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაცია.	+	+	+	+	+	+
<b>განათლების ხარისხის მენეჯმენტის სისტემის განვითარების პროგრამა</b> სასწავლო პროცესის და განათლების ხარისხის უზრუნველყოფა.	+	+	+	+	+	+
<b>მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების პროგრამა</b> საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება და სრულყოფა; საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით სასწავლო პროცესის მატერიალურ-რეკონსტრუქციული უზრუნველყოფა.	+	+	+	+	+	+
<b>PR – საქმიანობის განვითარების პროგრამა</b> სასწავლო უნივერსიტეტის შესახებ სრული, მრავალფეროვანი და სანდო ინფორმაციის შექმნა და გავრცელება; სასწავლო უნივერსიტეტის დადებითი იმიჯის შექმნა და გაძლიერება; სასწავლო უნივერსიტეტის შესახებ დაინტერესებული მხარეების ინფორმირება და სასწავლო უნივერსიტეტის მიმართ ინტერესის ფორმირება აბიტურიენტებისა და საზოგადოების მხრიდან.	+	+	+	+	+	+

### III. განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმის შესრულების ძირითადი მოსალოდნელი შედეგები

სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა აერთიანებს სასწავლო უნივერსიტეტის განვითარების ძირითადი მიმართულებების პროგრამებს, რომელთა შესრულებით იქნება უზრუნველყოფილი:

- სასწავლო უნივერსიტეტში უწყვეტი ფუნქციონირების სისტემის განვითარება;
- საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების ხარისხის გაზრდის შედეგად სასწავლო, სამეცნიერო და მმართველობითი საქმიანობის სრულყოფა;
- ხარისხიანი განათლება დაახალის საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა;
- სასწავლო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარება და საერთაშორისო მოთხოვნებთან შესაბამისობა;
- საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა მეცნიერების, ტექნიკის და პრაქტიკის მიღწევებთან;
- საგანმანათლებლო და სამეცნიერო სფეროში საერთაშორისო პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბება, უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთობლივი პროგრამების განხორციელების შესაძლებლობა;
- სასწავლო უნივერსიტეტის ჩართულობა საერთაშორისო სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობაში;
- სასწავლო უნივერსიტეტის მიერ საგანმანათლებლო სივრცეში ღირსეული ადგილის დამკვიდრება.

### IV. განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმის შესრულების მართვა

სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი ხელმძღვანელობს სასწავლო უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმის შესრულებას, განსაზღვრავს ამ პროცესის მართვის ფორმებს და მეთოდებს, პასუხისმგებელია განვითარების სტრატეგიული გეგმის საბოლოო შედეგების მიღწევაზე. სასწავლო უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმის შესრულების მიზნით საჭიროების შემთხვევაში, შეიქმნება საკოორდინაციო ჯგუფი, რომლის შემდგენლობაში შევლენ: სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, რექტორის მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები, სასწავლო უნივერსიტეტის ფაკულტეტების დეკანები. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი პასუხისმგებელია სასწავლო უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმის შესრულებისთვის აუცილებელი საორგანიზაციო და ფინანსური პირობების შექმნაზე, სასწავლო უნივერსიტეტის განვითარების მოკლევადიანი (ერთწლიანი) გეგმის საფუძველზე ახორციელებს მიღწეული შედეგების მონიტორინგს, განიხილავს სტრატეგიული გეგმის შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს და შესაბამის სამსახურებს აძლევს რეკომენდაციებს, ხელმძღვანელობს სტრატეგიული გეგმის ძირითადი მიმართულებების მიხედვით შექმნილ სამუშაო ჯგუფებს, განსაზღვრავს სამუშაო ჯგუფების რაოდენობას, მათი მუშაობის მიმართულებებს და შემადგენლობას. ადმინისტრაციის რეგულაციები-კანცლერი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ატარებენ ყოველთვიურ სამუშაო შეხვედრებს, ახორციელებს დაგეგმილი ღონისძიებების შესრულების კონტროლს, განვითარების სტრატეგიულ გეგმაში შემავალი განვითარების პროგრამებისა და სასწავლო უნივერსიტეტის განვითარების მოკლევადიანი (ერთწლიანი) გეგმის შესრულების მონიტორინგს, სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მიერ კალენდარული წლის დასაწყისში წარმოდგენილი ყოველწლიური სამუშაო გეგმების საფუძველზე აზრადებს სასწავლო უნივერსიტეტის განვითარების მოკლევადიან (ერთწლიან) გეგმას და ყოველწლიურ შემაჯამებელ ანგარიშს შესრულებული სამუშაოების შესახებ, რომლებსაც განიხილავენ სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოები.

### დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე განვითარების სტრატეგიული გეგმა ძალაში შედის პარტნიორთა კრების მიერ დამტკიცებისთანავე;
2. სასწავლო უნივერსიტეტის თანამშრომლები ვალდებული არიან გაეცნონ წინამდებარე გეგმას. ადმინისტრაცია ვალდებულია ნებისმიერ დროს მისცეს მათ დებულების გაცნობის შესაძლებლობა;
3. წინამდებარე განვითარების სტრატეგიული გეგმის მუხლებს წინამდებარეული აქვს სათაურები ტექსტით სარგებლობის გასაადვილებლად და ეს სათაურები არ მიიჩნევა რომელიმე მუხლის განმსაზღვრელად, შემცვლელად ან განმმარტებლად;
4. განვითარების სტრატეგიული გეგმაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით რექტორის წარდგინებით პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით;
5. წინამდებარე განვითარების სტრატეგიული გეგმის რომელიმე მუხლის/დებულების ძალადაკარგულად ცნობა არ ვრცელდება დებულების სხვა მუხლებზე/დებულებებზე;
6. წინამდებარე განვითარების სტრატეგიული გეგმა ძალას კარგავს ახალი განვითარების სტრატეგიული გეგმა დამტკიცების შემთხვევაში.